საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №512
2020 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის №511 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის №511 ბრძანების (www.matsne.gov.ge, 31/03/2020, 040030000.22.027.017006) პირველი მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.გ“-„ა.ვ“ ქვეპუნქტები:

„ა.გ) თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ქორწინების სახლი);

ა.დ) ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №70;

ა.ე) ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №20 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის შენობა);

ა.ვ) ზუგდიდი, თეატრის ქ. №2 (ზუგდიდის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი).“;

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) დროებითი ბიუროს სამუშაო საათები განისაზღვრება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიხედვით განსაზღვრული უქმე დღეებისა), 8 საათიდან 14 საათამდე.“;

გ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის დამოწმება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 6 აპრილიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**